ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 02 მარტის

სხდომის

## დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტს საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2017 – 2018 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის სახელმწიფო აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 2 მარტის სხდომის

ოქმი N 4

დაბა ხარაგაული

2020 წლის 2 მარტი

9 აპრილის . #15

**სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე** - მანანა ბარბაქაძე,

**სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები** : პაატა გოგოლაძე, დავით კიკნაძე, გივი თხელიძე, მალხაზ ფხალაძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ვარლამ ჭიპაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, იამზე პაქსაშვილი, ლენა აბაშიძე, რუსუდან გიორგიძე, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, დოდო ხაჩიძე, შალვა ლურსმანაშვილი, ირაკლი ფერაძე, პავლე კიკალიშვილი, იულონ კოპაძე, ნიკოლოზ მაღრაძე, გივი ხიჯაკაძე, ,ზურაბ ხაჩიძე, აკაკი მაჭავარიანი, ინგა მაღრაძე, ქეთევან ზუმბაძე,, თორნიკე ავალიშვილი სულ საკრებულოს 26 წევრი.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**მერიის წარმომადგენელი:**

**ნიკოლოზ თოფურიძე** - მუნიციპალიტეტის მერი,

**ვლადიმერ გელაშვილი**- მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი,

**კახაბერ გოლუბიანი** - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი,

**ჯაბა ბერაძე** - მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი,

**გიორგი ჭყოიძე** მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსი,

**თემურ თაბუკაშვილი** მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი,

**აფრასიონ ლურსმანაშვილი** მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი,

**ინგა ლურსმანაშვილი** -მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის განყოფილების უფროსი,

**საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:**

**ლენა კალანდაძე**– საკრებულოს აპარატის უფროსი,

**ზაალ ორბელაძე** - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

**ნინო თხელიძე** -საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

**საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:**

**თ. მაღრაძე** – ა.ა.ი.პ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრის“ ჟურნალისტი,

**თ. ბერიძე** - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი,

**ლ. ნიქაბაძე** - ოპერატორი

**ლ. გოგოლაძე** - გაზეთ „ჩემი იმერეთის“ რედაქტორი.

**მოისმინეს:** საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის განხილვისა და შეფასების თაობაზე

**მომხს:** ნოკოლოზ თოფურიძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2017 – 2018 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის სახელმწიფო აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ

**მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი**

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2019 წლის შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის შესახებ

**მომხს:** გიორგი ჭყოიძე

4.ხარაგაულის მინიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N 27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

**მომხს: ვლადიმერ გელაშვილი**

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ზვარეში მდებარე 87 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ( ს/კ 36.1836.206). პირდაპირი განკარგვის, წესით სასყიდლით იჯარის ფორმით ორი წლის ვადით შპს „ჩიწეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედ ფილიალზე“ (ს/კ 404385385) გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

**მომხს: ჯაბა ბერაძე**

6. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ

**მომხს: ჯაბა ბერაძე**

7. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ

**მომხს: ჯაბა ბერაძე**

8. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 02 დეკემბრის N 50/62 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტების განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

**მომხს: პეტრე შარიქაძე**

**სხდომის დღის წესრიგის დასამტკიცებლად კენჭის ყრის გამოცხადებამდე ფრაქციის „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ - ს თავმჯდომარემ პაატა გოგოლაძემ საკრებულოს თავმჯდომარეს მიმართა თხოვნით დღის წესრიგიდან ამოეღოთ და არ განეხილათ საკითხი „ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში“ მოტივად დაასახელა ის, რომ ჩატარდა უმრავლესობის სხდომა და სურვილი აქვთ მერის საქმიანობა შეაფასონ დადებითად და ამისათვის ეძებენ არგუმენტებს, რისთვისაც ჭირდებათ დრო, ვითხოვ განვიხილოთ შემდეგ სხდომაზე.**

**ფრაქციის „ თვითმმართველობა ხალხისათვის“ წევრმა მიხეილ ჭიპაშვილი ამ წინადადებას არ დაეთანხმა და აღნიშნა, რომ დრო საკმარისი იყო ანგარიშის განსახილველად ის მოსულია გარკვეული კითხვებით მერის წინაშე დასასმელად და [illegible] საკითხი ამოიღება.**

**განხილვას და საკითხის განუხილველობისათვის უმრავლესობის ფრაქციის თავმჯდომარის დასახელებულ მიზეზს მიიჩნევს უსაფუძვლოდ.**

**ფრაქციის „ თვითმმართველობა ხალხისათვის“ თავმჯდომარემ ინგა მაღრაძემ აღნიშნა, რომ ფრაქციის თავმჯდომარის პ. გოგოლაძის წინადადება არ უნდა იქნეს გაზიარებული და მოგვეცეს საშუალება განვიხილოთ დღეს, ანგარიშის ამოვიღება იქნება სრულიად უსაფუძვლო.**

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის დღის წესრიგიდან ამოღების თაობაზე**

**კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 26 წევრი**

**მომხრე 19**

**წინააღმდეგი 4**

**თავი შეიკავა 3**

**დღის წესრიგიდან საკითხი ამოღებული იქნა**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის შეცვლილი ვარიანტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 26 წევრი

მომხრე 26

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი მიღებული იქნა (თან ერთვის)

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2017 – 2018 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის სახელმწიფო აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ

**მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი**

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2019 წლის შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის შესახებ

**მომხს: გიორგი ჭყოიძე**

3.ხარაგაულის მინიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N 27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

**მომხს: ვლადიმერ გელაშვილი**

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ზვარეში მდებარე 87 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ( ს/კ 36.1836.206). პირდაპირი განკარგვის, წესით სასყიდლით იჯარის ფორმით ორი წლის ვადით შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედ ფილიალზე“ (ს/კ 404385385) გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

**მომხს: ჯაბა ბერაძე**

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ

**მომხს: ჯაბა ბერაძე**

6. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ

**მომხს: ჯაბა ბერაძე**

7. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 02 დეკემბრის N 50/62 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტების განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

**მომხს: პეტრე შარიქაძე**

**დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე სოფელ დიდვაკესა და სოფელ ვარძიაში მცხოვრებ მოქალაქეთა ერთმა ნაწილმა მოითხოვეს საკრებულოს სხდომის დარბაზში შემოსვლა და მათთვის საინტერესო საკითხებზე პასუხისმგებელ პირთა განმარტებების მიღება . კერძოდ მერისა და მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ. სოფელ დიდვაკის მოსახლეობას აინტერესებდა პასუხი, მერისგან როდის მოხდებოდა მათთვის გასულ წელს სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.**

**მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ განუმარტა, რომ გასავლელი იყო გარკვეული პროცედურები, რომელსაც ჭირდებოდა დრო, ეს პროცესები გავლილია და მარტის თვიდან დაიწყება თანხის გაცემა ის დაპირდა მათ, რომ ერთხელ კიდევ მოახდენდა მათთან შეხვედრას ადგილებზე და დეტალებზე მათთან ექნებოდა საუბარი.**

**ვარძიის მოსახლეობა პრეტენზიას გამოთქვამდა დაუსრულებელი საგზაო ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობის გამო, მერსა და მოსახლეობას შორის შედგა მოლაპარაკება, მან დაავალა ინფრასტრუქტურისა**

და კეთილმოწყობის სამსახურს ადგილზე მისვლით შეესწავლა მოსახლეობის წინადადებები და მიღწეულიყო შედეგი, მიუხედავად ამისა ფრაქციის „ძალა ერთობაშია“ - ს თავმჯდომარემ თორნიკე ავალიშვილმა განაცხადა, რომ ის არ მისცემდა საშუალებას საკრებულოს თავმჯდომარეს მანანა ბარბაქაძეს საკრებულოს სხდომის ცატარების საშუალებას თუ მუნიციპალიტეტის მერი დღესვე ვერ უზრუნველყოფდა სოფელ ვარძიაში ტრაქტორის შეყვანას და იქ სამუშაოების გაგრძელებას.

**საკრებულოს სხდომაზე გამოცხადდა 15 წუთიანი შესვენება.**

**შესვენების შემდეგ მოისმინეს:** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მინიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N 27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 26 წევრი

მომხრე 26

წინააღმდეგი 0

**საკრებულომ გადაწყვიტა:** დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

**მოისმინეს:** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედური საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ო. ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2017 – 2018 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის სახელმწიფო აუდიტის ანგარიში (თან ერთვის).

**საკითხის განხილვა არ მომხდარა**

**საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ვარლამ ჭიპაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი სახელმწიფო აუდიტის რეკომენდაციების შესასრულებლად გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი სახელმწიფო აუდიტის რეკომენდაციების შესასრულებლად გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 26 წევრი

მომხრე 26

წინააღმდეგი 0

**საკრებულომ გადაწყვიტა:** განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

**საკრებულოს სხდომაზე შექმნილი უწესრიგობის გამო დღის წესრიგით გათვალისწინებული დანარჩენი საკითხების განხილვა ვერ მოხერხდა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.**

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე